პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი პირველი

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
საქრევკომის
ორგანო.

1 ოქტომბერი
შაბათი

1919. გამოქვეყნებულია ს. ხ. კომ. საბჭოს დეკრეტი რკინის გზის ერთიან სამგზავრო ტარიფზე.

1791. საკანონ-მდებლო კრების გახსნა საფრანგეთში.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კროზინშტეინის ქ., № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის ბეჭდვა
და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილებაში, რუსთაველის ქ., № 4.
ტელეფონი №

დღიური

— პოლონეთის მთავრობა შეძრკა: იგი აცხადებს, რომ მას ომი არ სურს და მოწადინებულია რუსეთთან მშვიდობიანი ურთიერთობის დამყარების.

— ინგლისში უმუშევართა [illegible] რიცხვი მეტად დიდია, რევოლუციურ-კომუნისტური პროპაგანდა იზრდება და მღელვარება ძლიერდება.

№ 174 შაბათი, 1 ოქტომბერი, 1921 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 1 ოქტომბერი. 1921 წ. № 174

სამზადისი ზამთრისათვის

ზამთარი მოგვიახლოვდა და სრულიად ბუნებრივია კითხვა იმის შესახებ, თუ რა გავაკეთეთ და ვართ თუ არა მზად მის შესახვედრად. კითხვა მწვავედ დგას ყველა ქალაქებისთვის, კერძოთ თბილისისათვის. რამდენიც არ უნდა ვწეროთ, ვილაპარაკოთ და ვკეთოთ მუშა-მოსამსახურეების და ჯარის მოსამარაგებლად სურსათის მხრივ, ჩვენ გვაქვს ეს სასეზონო საზრუნავი საქმეც მოსაგვარებელი. ზედმეტია სიტყვის გაგრძელება იმაზე, თუ რა გავლენას იქონიებს სხვადასხვა წარმოებაში ჩაბმულ და ქალაქზე მიკრულ მუშა-მოსამსახურეებზე, რა გაჭირვებას მიაყენებს მათ და მათ ჩვეულებრივი მუშაობის მიმდინარეობას სათბობი მასალის უქონლობა. მოსწრებულად უთქვამთ და მართალიც არის, რომ ჩვენ ტყეში ვცხოვრობთ, ხოლო მიუხედავად ამისა, უშეშობის გამო სიცივის გვეშინია. ცხადია, რომ საერთო მოუწყობლობა ჩვენი, სასურსათო კრიზისი, რომელიც ფართო გასაქანს არ აძლევს ჩვენ დამამზადებელ მუშაობას, დაბოლოს რკინის გზის ტრანსპორტის მდგომარეობაც—ყველა ეს ფრიად ხელს უშლიდა და უშლის დღესაც შეშის დამზადებას, მაგრამ იმ საერთო გაჭირვების პირობებშიაც კი, რომელშიაც ჩვენ ვცხოვრობდით და გვიხდება მუშაობა, შესაძლებელი იყო და არის კიდევ, მიუხედავად დარჩენილი დროის სიცოტავისა, შეშის აუცილებლად საჭირო მინიმალური რაოდენობის მომარაგება მაინც. კერძოთ თბილისისათვის საჭიროა 38 000 კუბიკური საჟენი შეშა, რომლის რაოდენობაც დაახლოვებით მაინც უნდა იქნას შევსებული სატყეო კომიტეტის მიერ და მისი ხელმძღვანელობის ქვეშ იმ ორგანიზაციების დახმარებით, რომლებსაც მთავრობამ შეშის დამზადების ნებართვა მისცა. დრო ძალიან ცოტა დარჩა და ჩვენი მოვალეობაა, მოვალეობა ყველა ამ საქმეში ჩაბმული ორგანოების, ერთი მხრით, ქალაქისკენ დაიძრან დამზადებული, რაოდენობა რაც თავის თავათ არ არის ადვილი საქმე და მეორე მხრით, მთელი ენერგიის ამუშავებით გამოსადეგად ისარგებლონ დარჩენილი დროით ადგილობრივ დამზადების დასაჩქარებლად. ამ დიდ კულტურული მუშაობის გასაცხოველებლად უკან ვერ დაიხევენ ვერც ჩვენი პარტიული ორგანიზაციები, რომელთა პირიქით აუცილებელ და „[illegible] მოვალეობას“ შეადგენს შესაძლებლობის ფარგლებში შეშის დამზადების, მისი ორგანიზაციისათვის ხელის შეწყობა. ჩვენ უნდა გადავლახოთ ყველა დაბრკოლებანი: უსურსათობა, უფარაობა, ტრანსპორტის სისუსტე, უწყებათაშორისო დამოკიდებულებათა სიზანტე, რათა შედარებით დაგვიანებულად და ცუდ პირობებში დაწყებული საქმე რამოდენიმეთ მაინც დამაკმაყოფილებლად დავაბოლოოთ და მოახლოებულ ზამთარს ხელდატვირთული შევხვდეთ.

ყვითლები შავების სამსახურში

IV

ქართვ. მენშევიკების სამი წლის ბატონობა პატრონობას ზიანის მეტი არა მ. უყენებია რა საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის, მიუხედავად იმისა, რომ მათ პირობები ხელს უწყობდა.

საბჭოთა ხელისუფლებას, რომელიც სამი წლის დაგვიანებით დამკვიდრდა ჩვენში, საქართველო დახვდა მენშევიკური რეჟიმით ძალზე დასუსტებული, აფორიაქებული ომის ზეგავლენით და გაცრუებული ლტოლვილი დემოკრატიის მიერ.

ასეთი საქართველოს გამობრუნება და არსებულ დონეზედაც შეჩერება რომ ვერ მოახერხებინოს საბჭოთა მთავრობას სულ რამდენიმე თვის განმავლობაში, გასაოცარი არ უნდა იყოს. საწარმოო ძალების დაწყვეტა რომ შეჩერებულიყო და მრეწველობა სულ ძირს წასულიყო—არც ეს იქნებოდა მოულოდნელი მოვლენა. ყოველნაირ სახელმწიფოებრივ გადატრიალებას, რევოლუციას თან სდევს პირველ ხანებში ეკონომიური ცხოვრების დაქვეითება. მხოლოდ მეშჩანების ტვინში სადგურობს წარმოდგენა ისეთ რევოლუციაზე, რომელიც ცხოვრების დიდა ძარღვზე სულაც არ ახდენს გავლენას, ბრძოლის ტკივილებს არ აგრძნობინებს არავის—არც ბურჟუაზიას, არც მშრომელთ.

მართლა დავღუპეთ ჩვენ საქართველოს მრეწველობა (ინდუსტრია), მართლა დავსცით ეკონომიური ცხოვრება და გავანადგურეთ სოფლის მეურნეობა, როგორც ამაში უფიცებიან ჟორდანია ჩხეიძეები თავიანთ კეთილმყოფელთ იმპერიალისტური ბანაკიდან?

ქვანახშირის ამოღება 87 პროცენტით დაეცაო, ბრძანებენ მოწოდების ავტორები. სინამდვილე ისაა, რომ სულ ყველა 100 პროცენტით არ დაეცა ტყიბულის ქვანახშირის წარმოება. ნორმალურ პირობებში იმპერიალისტური ომის დაწყებამდე ტყიბულის მაღაროები იძლეოდა თვიურად 300 ათას ფუთამდე, რადგან მოთხოვნილება ამ მდაბიო ხარისხის ნახშირის ნაკლები იყო მაშინ, როცა ქართველ მენშევიკების აღვირახსნილ პოლიტიკამ საქართველოს ჩამოაცილა ბაქოს ნავთი და მაზუთი, ისინი იძულებული შეიქნენ ტყიბულის ქვანახშირს დასწოლოდენ. გაძარცვეს მტაცებლური, გამანადგურებელი ექსპლოატაციით მაღაროები, ტექნიკურ წესების დაცვას არ დაგიდევდნენ, მაღაროების გამაგრებაზე არ ფიქრობდნენ, წყლის ამოქაჩვისთვის თავს არ იტკივებდნენ. თვიურად 40 ათას ფუთამდე ნახშირს იღებდნენ, მაგრამ ამით მაღაროების ჩაქცევას ამზადებდნენ. მათმა მტაცებლურმა, [illegible] ექსპლოატაციამ აუცილებელი შედეგი გამოიღო: ჯერ კიდევ ამ წლის თებერვალში, როცა საბჭოთა ორგანოებს არც კი დაეთვალიერებინათ ტყიბულის მაღაროები, ისინი წყლით აივსნენ და ჩაინგრნენ. საბჭოთა მთავრობამ ქვანახშირის ამოღება შეაჩერა, და შეუდგა მაღაროების შეკეთებას, მათ ტექნიკური მხრით გაუმჯობესებას. მუშების და სპეციალისტების თავდადებული მუშაობის წყალობით გაყვანილ იქნა ახალი გალერეები და დღეს ნახშირის ამოღება სწარმოებს ნორმალურად, ყველა სავალდებულო ტექნიკური წესების დაცვით. აი ზოგიერთი, სრულიად ოფიციალური ციფრები:

1911 წ. ამოღებული იყო 323.738 ფ. ნახშირი, 1915 წ. ამოღებული იყო 371.427 ფ. ნახშირი, 1919 წ. ამოღებული იყო 177.122 ფ. ნახშირი, 1920 წ. ამოღებული იყო 438 956 ფ. 1921 წ. იანვარში—952.143 ფ. 1921 წ. თებერვალში—882.108 ფ.

საბჭოთა მთავრობის დროს: მარტში—373.320 ფ. აპრილში—200.730 ფ. მაისში—318.085 ფ. ივნისში—327.805 ფ. ივლისში—247 616 ფ. აგვისტოში—492.148 ფ. სექტემბრის პირველ ნახევარში—287.190 ფ. მთელ სექტემბერში—520.000 ფუთზე მეტი. ტყიბულში მენშევიკების დროს მუშაობდა 1700 მუშა. საბჭოთა ხელისუფლების დროს—1200, უმეტესობა მაღაროების შეკეთებაშია ჩაბმული.

როგორც ხედავთ დღეს ამოღებული ნახშირის რაოდენობა სჭარბობს ომის წინა წლების რაოდენობას. ამოღება სწარმოებს ნორმალურად, ტექნიკური წესების დაცვით და არა მტაცებლურად, როგორც მენშევიკების დროს. ექსპლოატაციის გაძლიერება და მენშევიკების დროინდელ ნორმამდის აყვანა ახლაც შესაძლებელია ჩვენთვის, მაგრამ მტაცებლობა ჩვენი რეჟიმის დამახასიათებელი თვისება არ არის, მით უფრო, როცა ბაქოს ნავთი და მაზუთი საკმაოთ გვაქვს მრეწველობის ნორმალური არსებობისთვის.

ავიღოთ სხვა წარმოების დარგები. სოფ. შროშაში არსებობს ცეცხლის გამძლე აგურის (რკინა აგური) ქარხანა. ამ ქარხნის ნაყოფიერება თეორეტიულად გამოიხატება თვეში: ცეცხლისგამძლე თიხა—12.500 ფ. და მზა, გამოწვარი ცეცხლისგამძლე აგური—25000 ცალი.

ეს ქარხანა სანახევროთ დანგრეული დაგვხვდა, ორი თვე მის შეკეთებას და რემონტს, თიხის და შეშის მოზიდვას მოუნდა, მხოლოდ მაისში ამუშავდა. აი მისი წარმოების ზრდა: მაისში—3600 ფ. თიხა და 8.000 ც. აგური, ივნისში—3500 ფ. თიხა და 16.300 ც. აგური, ივლისში—23 931 ფ. თიხა და 11.060 ც. აგური, აგვისტოში—27.954 ფ. თიხა და 15.000 ც. აგური.

მხოლოდ 58 მუშაა ქარხანაში. მუშების რიცხვის გამრავლება დანიშნულ აგურის რაოდენობას აიყვანს მაქსიმალურ ნორმამდე.

სჩანს არ დაგვიქცევია მრეწველობის ეს მნიშვნელოვანი დარგი, პირიქით შეგვიკეთებია, ფეხზე დაგვიყენებია.

ავიღოთ თბილისის სახელმწიფო საპნის ქარხნები—წარმოების ნაყოფიერების ზრდა თვალსაჩინოა:

მენშევიკების დროს ეს ქარხნები ამზადებდნენ თვეში მაქსიმალურად 700 ფუთამდე უბრალო საპონს (იანვარში—631 ფუთი) და 300 დუჟინამდე სატუალეტო.

თებერვალში—815 ფ. 13 გირ. უბრ. საპონი, 693 დუჟ. სატუალეტო.

მარტში—1255 ფ. 12 გ. უბრ. საპ. 1663 დუჟ. სატ.

აპრილში—1663 ფ. 7 გ. უბრალო, 4188 დუჟ სატ.

მაისში—1499 ფ. უბრ. 1878 დუჟ. სატ.

ივნისში—808 ფ. 6 გ. უბრ. 797 დუჟ. სატ.

ივლისში—536 ფ. 20 გ. უბრ. 918 დუჟ. სატ.

აგვისტოში—1584 ფ. უბრ. 772 დუჟ. სატ.

საშუალოდ, მარტიდან მოკიდებული, „ქვეყნის დამაქცევარ ბოლშევიკების“ დროს, უბრალო საპნის წარმოებამ იმატა. მენშევიკების „ნაყოფიერებასთან“ შედარებით: უბრალო საპნის 140—180 პროცენტით, სატუალეტო საპნის—564 პროცენტით.

ასეთივე სურათია ზეთის სახდელ ქარხნებშიაც, მიუხედავად სათანადო მასალის სიძვირისა.

თამბაქოს ქარხნებიც ზოგჯერ ახლა უკეთ მუშაობენ ვინემ მენშევიკების დროს.

იანვარში სახაზინო ფაბრიკებში დამზადებული იყო: თბილისში 71.600 ფ. თამბაქო და 21.930 ფ. პაპიროსი ბათუმში 8.327 ფ. თამბაქო და 5458 ფ. პაპიროსი. ივლისში: თბილისში 69536 ფ. თამბ. და 36.380 ფ. პაპირ. ბათუმში 7309 ფ. თამბ. და 7096 ფ. პაპიროსი (აპრილში 10.021 ფ. და 6600 ფ. ივნისში 10 957 ფ. და 82278, ფ.)

აგვისტოს და სექტემბრის ცნობებით ნაყოფიერება კიდევ ზევით წასულია.

ასეთივე სურათი იშლება მრეწველობის დანარჩენ დარგებშიაც ამას დაუმატეთ ახალი დარგები, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ შექმნა, მაგ. ცენტრალური სამკერვალო, რომელმაც მიუხედავად მასალის სიმცირისა ორიოდე თვეში გამოუშვა 206 708 ცალი ტანსაცმელი საგანი. დაუმატეთ ნავთის მრეწველობის ჩანასახი კახეთში, სადაც კუსტარული წესით უკვე იღებენ 20 ფუთ ნავთს ყოველდღიურათ. ზღვიდან მოდის საჭირო ტექნიკური მასალა (საბურღავი მანქანები და სხ.) და თუ ბუნების საიდუმლოებას მივაგენით, საბჭოთა ხელისუფლება ხალისით საკუთარ ინჟინერების და მუშების დახმარებით შესძლებს ნავთით, ამ თხელი ოქროთი დააკმაყოფილოს საქართველოს მრეწველობის მოთხოვნილების ნაწილი მაინც.

სჩანს, არაფერი დაგვიქცევია, მრეწველობისათვის დამბლა არ დაგვიცემია, როგორც ამას სჩივიან დემოკრატიის გლახა პრიაშვილები, საქართველოს მშრომელ ხალხზე მფლობელობის უფლების მაძიებელნი იმპერიალისტების შესასვლელ კარებთან.

კომინტერნის მესამე კონგრესი

ხუთი ივლისის სხდომა.

ამხ. კოლონტაის სიტყვა.

ამხ. ლენინის სიტყვა იწვევს ერთს არსებითს კითხვას: ვფიქრობთ თუ არა ჩვენ, რომ ეკონომიური პოლიტიკის შეცვლა გაამაგრებს წარმოების კომუნისტურ სისტემას. ჩვენ ხომ ვიცით, რომ მხოლოდ უკანასკნელი შეიძლება იყოს ჩვენი მიზანი. წარმოების კაპიტალისტურმა სისტემამ მთელ დედამიწაზე უკვე მოჭამა თავის დრო, და სოციალური რევოლუცია აუცილებელია. ამიტომ ჩვენ ვკითხულობთ, ხომ არ ნიშნავს ჩვენი პოლიტიკის შეცვლა ძველ კაპიტალისტურ სისტემისაკენ დაბრუნებას.

რუსეთში არის სამი სოციალური ძალა. პირველი—გლეხობა, რომელიც შეადგენს დიდს უმრავლესობას და რომელიც გამსჭვალულია მესაკუთრეობის ინსტინქტებით; მეორე არის მომაკვდავი ბურჟუაზიის ნაშთები, ჩვენი მოსამსახურეების და სპეციალისტების ნაწილის სახით, რომელნიც სულიერად დაკავშირებული არიან უცხოელ კაპიტალისტებთან; მესამე ძალა პროლეტარიატია. რომელი ამ ძალთაგანი იქონიებს თავის გავლენას საბჭოთა ხელისუფლებაზე?

ამხანაგი ლენინი ამბობს რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის წყალობით ჩვენ გვეძლევა საშუალება მოვიგოთ დრო და დაველოდოთ მსოფლიო რევოლუციის განვითარებას. მაგრამ დაცდა შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ეს ახალი ეკონომიური ორიენტაციასთან დაკავშირებული დასვენება არ მოუტანს ვნებას თვით საბჭოთა წყობილების არსებობას. პოლიტიკის ამ შეცვლის წყალობით ხომ შეიქნება გლეხობა ეკონომიურად და მორალურად უფრო ძლიერი. ამავე დროს პროლეტარიატი დაკარგავს რწმენას თავის საკუთარ ძალებისადმი თუ ჩვენ ამ პოლიტიკის გზით წავალთ უფრო შორს, მაშინ კონცესიების საშუალებით ჩვენში უცხო კაპიტალი გამაგრდება, პროლეტარიატი დასუსტდება, მისი ორგანიზაცია დაირღვევა, და აუცილებელი გახდება ახალი რევოლუცია, რომლის მოხდენას პროლეტარიატი უკვე ვერ შესძლებს.

ამხ. ლენინმა იმიტომ უნდა იფიქროს ძალების მექანიზაციაზე და ელექტროფიკაციაზე, რომ ანგარიშს არ უწევს პროლეტარიატის შემოქმედებითი ძალებს. იმის მაგივრად, რომ გამოსავალი ვიპოვოთ შიგნით, იმის მაგივრად, რომ ჩვენშივე გამოვიწვიოთ ინიციატივა. ჩვენ ვეძებთ გარედან დახმარებას და ვცდილობთ დავეყრდნოთ გარეშე ძალებს. იმისათვის რომ მრეწველობა აეწყოთ, ჩვენ უნდა გამოვიწვიოთ შემოქმედებითი ძალები, პროლეტარულ მასების თვითმოქმედება, და თუ მათ ჩვენ დაუწყებთ ძებნას, უეჭველად ვიპოვნით.

ამხ. ტროცკის სიტყვა.

ამხ. ზაქს და კოლონტაის უპასუხებს ამხ. ტროცკი, რომელსაც თავის სიტყვის დასწყისში მოჰყავს ციტატები გენრიხ კუნოვის სტატიიდან რომელიც მოთავსებული იყო „ნეიე ცეიტ“ ში, ეგრეთწოდებულ სოციალ დემოკრატიის თეორიულ ორგანოში, სადაც ავტორი ამბობს რუსეთის კომუნისტურ პარტიაში არსებულ მემარცხენე მიმდინარეობაზე. ამასთან მე, ამხ. ბუხარინს, რაკოვსკის და სხვებს სთვლის იგი ამ მიმართულების მომხრეებათ. ამხ. კოლონტაის სახელი ჩამოთვლილთა შორის რატომღაცნაირად არ არის ნახსენები. ალბათ იგი ტროცკის პსევდონიმშია გახვეული. ვინაიდან ამ მიმართულების კუნოვის მიერ დახასიათება სავსებით ეთანხმება იმას, რაც აქ ამხ. კოლონტაიმ ილაპარაკა. ის რასაც კუნოვი სწერს წარმოადგენს არა მარტო მის აზრს: იმის შესახებ, რომ რუსეთის კომუნისტურ პარტიაში არის დიდი უთანხმოება, და რომ კონცესიების საკითხებისა და ჩვენი ეკონომიური პოლიტიკის შეცვლის გამო მე ვიმყოფები ოპოზიციაში მთელი კაპიტალისტური პრესა ლაპარაკობს. ვინც ოდნავათ იცნობს ჩვენ შინაურ ცხოვრებას, მან კარგათ იცის, რომ ჩვენს პარტიაში, ძლიერ მცირე ჯგუფის გამოკლებით არ არის სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა. თქმა იმისა, რომ 99 პროც. ერთნაირად აზროვნებს, არ იქნება გადაჭარბებული, ვინაიდან ფაქტიურად ეს ჯგუფი 1 პროც. არ შეადგენს. როცა ჩვენს ცენტრალურ კომიტეტში კონცესიების შესახებ მსჯელობა იყო, კამათი სწარმოებდა მხოლოდ პრაქტიკულ ფარგლებში, სახელდობრ სად უნდა მივცეთ კონცესიები ამა თუ იმ ოლქში. და სწორეთ ამ პრაქტიკულ ფარგლებში მე ყოველთვის სრულიად ვეთანხმებოდი ლენინს. სწორედ აგრეთვე არც ბუხარინი, არც რაკოვსკი არას დროს პრინციპიალურად არ ეწინააღმდეგებოდნენ კონცესიების საკითხს ან ახალ ეკონომიურ პოლიტიკას. ეს ძლიერ კარგათ ახასიათებს გერმანიის სოციალდემოკრატიის სულიერ სილატაკეს. როდესაც ცარიზმის შესახებ რაიმე ყალბ ცნობას ავრცელებდნენ, თავს იმით იმართლებდნენ, რომ მას ფართო ზურგი აქვს: ეს მას ვერაფერს აკლებსო. პარტიის იდეოლოგს რომელმაც უნდა გულდამშვიდებით შეაფასოს მოვლენა, მოეთხოვება თუ არა ის, რომ მან ჩვენი გაიგოს და გაგვამართლოს, რომ მას რაიმე წარმოდგენა მაინც ჰქონდეს საგანზე. რაში მდგომარეობს კითხვა საშიშროების შესახებ რომელზედაც ამხ. კოლონტაი ამბობდა თავის სიტყვაში—განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის კაპიტალიზმის მხრით?—ეს კითხვა ჩვენ უკვე გავარჩიეთ ეკონომიურ კომისიაში. ერთ კომისიაში მონაწილე ამხანაგი ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ კაპიტალიზმი დაისვენებს და გამოკეთდება რუსეთის ფართო ველებში. მაგრამ თუ ჩვენი რკინის გზებით ჩვენი ქვეყნის განუსაზღვრელი სივრცეებით და საერთოდ ჩვენი მეურნეობის მდგომარეობაში კაპიტალიზმი აღადგენს მოკლე დროში თავის საერთაშორისო წონასწორობა, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ საკმაოდ ღონიერნი ვართ ეკონომიურად და მაშასადამე ჩვენ არ ვსაჭიროებთ დასავლეთ ევროპის კაპიტალიზმის დახმარებას. მაგრამ საკითხი ხომ ასე არ არის დაყენებული. ჩვენ არა ვართ საკმაოთ ძლიერნი რომ უარი ვთქვათ კაპიტალისტურ ტექნიკის დახმარებაზე, და სწორეთ იმიტომ არ შეგვიძლია [illegible] კაპიტალიზმის პირობები, რომ ჩვენ არა ვართ საკმაოდ ძლიერნი ეკონომიურად. ამაშია საგანთა შინაგანი ლოღიკა. მეორეს მხრით, ამხანაგებმა, რომლებიც შიშობენ, რომ კაპიტალიზმი გამაგრდება რუსეთში შემოსვლითო, არ უნდა დაივიწყონ ის, რომ ახლად აღორძინებულ კაპიტალიზმს, და რუსეთს შორის იმყოფება საბჭოთა ხელისუფლება. უმთავრესი საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ პროლეტარიატს აქვს ძალა-უფლება თავის ხელში და ის გასცემს კონცესიებს იმდენად, რამდენად ის სცნობს ამას სასარგებლოთ და საჭიროთ. კაპიტალიზმს რომ დაემარცხებინა ჩვენი არმია, მაშინ საერთოდ კონცესიების შესახებ არავითარი საკითხი არ იქნებოდა. კაპიტალიზმი თვითონ წაიღებდა იმას, რაც, მას ესაჭიროება და თუ ჩვენ მსჯელობა გვაქვს კონცესიების შესახებ, ეს იმიტომ რომ ძალა-უფლება პროლეტარიატის ხელშია, და მას თავისუფლად შეუძლია ამ საკითხის გადაჭრა თავისი ინტერესების მიხედვით. და ის ამხანაგები, რომელნიც შიშს გამოსთქვამენ, ამით ამტკიცებენ მხოლოდ იმას, რომ ისინი აზვიადებენ, გადაჭარბებულად ადიდებენ ჩვენს ტექნიკურ და ტრანსპორტულ საშუალებებს და ვერ აფასებენ ჩვენ კომუნისტურ შეგნებას.

ამხ. კოლონტაის ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ კაპიტალისტურმა წყობილებამ თავისი დრო უკვე მოსჭამა, და ამიტომ ასე დრომოჭმულ სისტემისაგან ჩვენ არ შეგვიძლია არავითარი სარგებლობის გამოტანა. აი ამ ძირითადი, თითქმის მეტაფიზიკურ დებულებით სარგებლობს ამხ. კოლონტაი თავის პოლიტიკურ და ეკონომიურ მსჯელობაში. ეს თუ ასეა, იმ შემთხვევაში, თუ შავ ზღვაზე მაგალითად ინგლისის ან საფრანგეთის არმია გამოჩნდება ჩვენ ვეტყვით ჩვენთვის: კაპიტალიზმმა ხომ დრო მოსჭამა და ამიტომ ჩვენ დამშვიდებით შეგვიძლია გულზე ხელების დაკრეფა. ამ გვარ მსჯელობის საშუალებით მე ვფიქრობ, ჩვენ ყველანი ამხ. კოლონტაის ნებართვით გადავიჩეხებით უფსკრულში. არა ამხ. კოლონტაის თეორიულ მსჯელობის საშუალებით, არამედ კაპიტალიზმის ფაბრიკებში გაკეთებულ თოფებით, ჯარისკაცებით, რომელნიც ემორჩილებიან კაპიტალისტურ დისციპლინას, მოგვსპობენ ჩვენ. ეს კი ამტკიცებს, რომ ჯერ ის კიდევ ძლიერია. რას იტყვის ამხ. კოლონტაი კარგ გერმანულ კაპიტალისტურ ლოკომოტივზე? გერმანიაში რომ რევოლუცია მოხდეს, გერმანელი მუშა ამის შემდეგ კიდევ დიდხანს იმოგზაურებს თავის ქვეყანაში კაპიტალისტური ლოკომოტივის საშუალებით. ამხ. კოლონტაის ათის მცნებით ნება დართულია თუ არა გერმანულ ლოკომოტივების ყიდვა ებერტს კომპ. მარკით. მაგრამ იმისათვის, რომ ეს ლოკომოტივები ვიყიდოთ, ჩვენ უნდა მივსცეთ იმაში ოქრო, რასაკვირველია არა იმდენი, რომ გერმანელებმა თავიანთი ვალი გაისტუმრონ. ჩვენ ამისათვის, საბედნიეროთ, იმდენი ოქრო არა გვაქვს. რასაკვირველია, ამაზე ამხანაგი კოლონტაი გვიპასუხებს, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობა ჩვენთვის კიდევ მისაღებია, მაგრამ კონცესიები კი არავითარ შემთხვევაში. რა არის კონცესიები? რომ ლოკომოტივები შევიძინოთ, ჩვენ უნდა სამაგიეროთ მივცეთ შეშა, ამისათვის კი ჩვენ გვესაჭიროება ხერხები და სხვა ტექნიკური ხელსაწყოები. და აი ჩვენ ვამბობთ: იმ ტყეში ინგლისელ კაპიტალისტს შეუძლია მიიღოს მისი ხვედრი შეშა, ის თუ მოიტანს ხერხები და სხვა ტექნიკური ხელსაწყოები, წაიღოს შეშა და სამაგიეროთ მოგვცეს ჩვენ ლოკომოტივები. სად იწყება და სად თავდება ამხ. კოლონტაის პრინციპიალური ოპოზიცია: ლოკომოტივის ყიდვის დროს, თუ შეშით ვალის გასტუმრების დროს? ვშიშობ, რომ ეს ოპოზიცია იწყება იქ სადაც არის მოსაჭრელი ხე-ტყე ე. ი. ტყეში.

ამხ. კოლონტაის მეორე აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ მუშების ადგილას სხვა ძალებს ვაყენებთ, ერთის მხრივ ტექნიკებს მეორეს მხრივ გლეხობას. თავისთავად ცხადია, რომ პროლეტარიატმა გამოიჩინა დიდი ძალა და ინიციატივა, და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ ინიციატივის წყალობის დიდმნიშვნელოვანად შეიცვლება მთელი კაცობრიობის სახე. მაგრამ ჩვენ არა დროს არ ვამბობდით, რომ პროლეტარიატს დაბადებიდან დაჰყვა ყველა თვისებები, რაც მთელი საზოგადოების არსებობისათვის არის საჭირო. პროლეტარიატს შეუძლია შექმნას ახალი საზოგადოების პოლიტიკური და სოციალური პირობები, მაგრამ რაკი მან თავის ხელში ხელისუფლება მოიპოვა, მას შეუძლია მოაწყოს საზოგადოებრივი ორგანიზმის განვითარებისათვის ყველა საჭირო ძალები და საშუალებები. მაგრამ როცა ამ ტექნიკურ ძალებს ის ნიშნავენ ბუნდოვან სიტყვით: „სხვა სოციალური ძალები“ და აცხადებენ რომ ამ ტექნიკურ ძალების მოწვევა ნიშნავს მუშათა კლასისადმი ურწმუნობის გამოცხადებას, ამას არავითარი საერთო არა აქვს მარქსიზმთან და კომუნიზმთან. სამხედრო საქმეში ჩვენ თავდანვე ვმუშაობდით უცხო სფეროში და როცა ჩვენ ვიწვევდით ამ საქმეში ტექნიკურ ძალებს ოფიცრობას, ამას ბევრი პარტიული ამხანაგი ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ ჩვენ რომ მარტო მუშათა კლასის ენერგიასა და თავგანწირულებას დავეყრდნობოდით, რომლებმაც, თავისთავად იგულისხმება, გასწიეს დიდი სამსახური, და რომ არ დავეყრდნობოდით უცხო სამხედრო ტექნიკურ ძალებს, ჩვენ დიდი ხანია მოვისპობოდით. მუშათა კლასის უდიდესი ინიციატივა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან შეძლო ჩამორჩენილ გლეხურ ქვეყანაში ძალით და პროპაგანდით ოფიცრობის სამსახურში მიზიდვა.

ჩვენთვის საჭირო იყო არმია. პირველად მუშებს არ ჰქონდათ გამოცდილება და ცოდნა სამხედრო საქმეში. ეხლა ჩვენ მუშათა კლასის რიგებიდან ბევრი წითელი ოფიცრები გვყავს უმაღლეს თანამდებობამდე გათავებული, და მათი რიცხვი დღითი დღე იზრდება. იგივე ითქმის ტექნიკურ დარგის შესახებ.

იმ ფაქტიდან უნდა გამოვდიოდეთ, რომ ჩვენ გარეშემორტყმული ვართ კაპიტალისტური ქვეყნებით, და ამიტომ იძულებული ვართ გადავსცეთ კონცესიები. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ რომ ჩვენი პროლეტარიატი, როგორც მუშათა კლასის დიდი საერთაშორისო ოჯახის წევრი, ისარგებლებს კაპიტალისტურ წყობილების ეხლანდელ [illegible] წონასწორობით, იმისათვის რომ მიიღოს უდიდესი სარგებლობა უცხო ძალებისა და საშუალებებისაგან. არის თუ არა ურწმუნოება იმაში, რომ ჩვენ ვეუბნებით მუშათა კლასს: ჩვენ ვამყარებთ კაპიტალისტებთან ურთიერთობას, მაგრამ საკუთარ ფეხზე მაგრათ ვდგავართ. ჩვენ თავისუფლად ვარჩევთ, რა შეიძლება მივცეთ და რა არა უცხოელ კონცესიონერებს. თუ ვინმე ურწმუნოებას აცხადებს მუშათა კლასის მიმართ ამას ჩავდივართ ჩვენ კი არა, არამედ ის პატარა ჯგუფი, რომლის სახელით აქ გამოდის ამხანაგი კოლონტაი. (ხანგრძლივი ტაში).

ამხან. ტროცკის შემდეგ სიტყვა ეძლევა კენენს (დიდი ბრიტანეთი) რომელიც გაკვირვებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ რუსეთის საკითხის გარჩევის დროს ძლიერ ცოტა უცხოელი დელეგატები გამოვიდნენ. დიდი მნიშვნელობა აქვს არა იმდენი პოლიტიკურს რამდენი რუსეთის ეკონომიურ მდგომარეობას, და მას არ უნდოდა, რომ დელეგატებს წაეღოთ შთაბეჭდილება, თითქოს რუსეთში მრეწველობა კარგს მდგომარეობაში იმყოფება, პირიქით რუსეთი განიცდის მწვავე სამრეწველო კრიზისს, რომელიც რთულდება კიდევ მოუსავლობით. სწორეთ ამიტომ მას არ შეუძლია გაკიცხოს რუსები იმისათვის, რომ ისინი უცხოელ კაპიტალისტებს კონცესიებს აძლევენ: ჩვენ, მთელი მსოფლიოს კომუნისტებს, ხომ არ შეგვიძლია რითიმე დავეხმაროთ მათ ამ მხრივ. ამხ. კენენი ამბობს, რომ გერმანიაში და ბელგიაში კაპიტალისტები მასთან შეხვედრის დროს საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის დამყარების სურვილს გამოთქვამდნენ. ერთმა გერმანელმა მილიონერმა განუცხადა მას, რომ ის რუსეთის სიმდიდრის ნახვით დარწმუნებულია, რომ იქ წარმოებული ცდა წარმატებით დამთავრდება, ის მისცემდა რუსეთს მის განკარგულებაში თავის სიმდიდრეს, ფაბრიკებს და ქარხნებს.

ამხ. კენენის აზრით მრეწველობის შეჩერება იმით აიხსნება, რომ ომამდის მრეწველობის დიდი ნაწილი უცხოელთა ხელში იმყოფებოდა მაგრამ მას შემდეგ რაც მათ დასტოვეს რუსეთი, იქიდან წამოიღეს, გამოცდილი სპეციალისტები და ამის გამო დადგა კრიზისი.

—ჩვენ კომუნისტებს,—ამბობს დასასრულს ამხ. კენენი—შეგვეძლო დავხმარებოდით რუსეთს მის მრეწველობის აღდგენაში იმით, რომ ჩვენი გამოცდილი მუშები მოვიდოდენ აქ და რუსეთის მუშებთან ერთად ენერგიულად შეუდგებოდნენ ამ მრეწველობის აღდგენას. ვინაიდან საბჭოთა რუსეთის კეთილდღეობა არის მთელი ქვეყნის კომუნისტების საქმე, და მისი დაღუპვა ემუქრება ჩვენ იდეალებს სრული კატასტროფით.

შემდეგ სიტყვას იღებს ამხ. ჰემპელი (გ. კ. მ. პ) ამხ. რადეკი, ჩვენგან მოითხოვდა პასუხს იმის შესახებ, ვსთვლით თუ არა ჩვენ რუსეთის კომუნისტურ პარტიის ტაქტიკას სწორეთ. დიახ, იმ პირობებში, რომლებშიდაც საბჭოთა რუსეთს უხდებოდა ბრძოლა, ჩვენ ვსთვლით მას სწორათ მაგრამ ამხ. კოლონტაის სიტყვაში არის ადგილი, რომელიც ყურადღების ღირსია, სახელდობრ, საჭიროა გლეხობისადმი დათმობანი და უცხოელ კაპიტალისადმი კონცესიების მიცემასთან ერთად რომელთაც საბჭოთა რუსეთი იძულებულია მიმართოს გარდამავალ ხანაში, მიეცეს მეტი გასაქანი რუსეთის მუშების ინიციატივას. არავინ ჩვენგანი არ უარყოფს, რომ საბჭოთა რუსეთის სამეურნეო ცხოვრების აღდგენა უკეთ წავიდოდა თუ საერთაშორისო პროლეტარიატი მას მხარს დაუჭერდა, და მაშინ შესაძლებელია უცხო კაპიტალისადმი მიმართვა საჭირო არ იქნებოდა. მაგრამ რით შეუძლია დაეხმაროს საერთაშორისო პროლეტარიატი საბჭოთა რუსეთს. მას არ შეუძლია დაეხმაროს მანქანებით, რომლებიც ასე ესაჭიროება რუსეთს. კვალიფიციურ მუშების გამოგზავნამ დასავლეთ ევროპიდან შეიძლება მოუტანოს დიდი ვნება რევოლუციას, ვინაიდან საუკეთესო ძალები რუსეთს მოაშორებს. არის კიდევ კოოპერატივები ე. ი. იგივე კაპიტალისტური საქმე და თუ მათთან სავაჭრო კავშირს დაიჭერთ, ისინი თავის სასარგებლოდ აიღებენ უფრო მეტს. მაშასადამე რჩება უცხო კაპიტალისტები. ამხ. ლენინმა მოგვცა რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის ძალთა ურთიერთობის ნამდვილი სურათი და გვიჩვენა ჩვენ, სანამ საერთაშორისო პროლეტარიატი რუსეთის მუშებს არ დაეხმარება, საბჭოთა რუსეთი იძულებული იქნება გლეხობას დაუთმოს. საბჭოთა რუსეთის ახალი პოლიტიკა, უნდა ვიფიქროთ, ხანგრძლივი იქნება. მე ვშიშობ, რომ ამ ხნის განმავლობაში მცხოვრებლები და კომუნისტები, შეეჩვევიან ახალ პირობებს, და აქ იბადება საკითხი ხომ არ მოუხდება კომუნისტებს თავის პრინციპების დარღვევა: ისინიც არ არიან ზეკაცები. უნდა აღინიშნოს, რომ უცხო კაპიტალის მოწვევა შემოიტანს ერთგვარ გახრწნილებას. შეიძლება ისიც მოხდეს, რომ უცხოთა კაპიტალი დაიპყრობს საბჭოთა რუსეთში საერთაშორისო პროლეტარიატის საზიანოთ.

კამათში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ამხ. **როლანდ ხოლსტმა** (ჰოლანდიის დელეგაციის მემარცხენე ჯგუფიდან), რომელმაც სთქვა რომ რუსეთის კომუნისტურ პარტიის ტაქტიკის შესახებ მოხსენების გასაშუქებლად მას სურს შეჩერდეს სამს საკითხზე. აქ ამბობდნენ, რომ უნდა მიეცეს პროლეტარულ მასებს მეტი ინიციატივა. ის ფიქრობს, რომ რუსეთის პროლეტარიატმა მოგვცა მუშათა მოძრაობის ინიციატივის ჯერ კიდევ ისტორიაში უხილავი მაგალითი. რუსეთის მუშების შემოქმედებითი ძალა რომ არ ყოფილიყო, რომელიც თვალსაჩინო იყო საბჭოთა რუსეთის მოქმედების ყოველ ასპარეზზე, ჩვენ არ გვექნებოდა ის წარმატებანი, რომელზედაც აქ იყო ლაპარაკი.

შემდეგ მე მგონია, რომ საბჭოთა რუსეთი სრულებით არ არის დაინტერესებული კაპიტალიზმის წონასწორობის შენახვაში პირიქით, ის დაინტერესებულია მსოფლიო რევოლუციაში, საბჭოთა რუსეთი მიიღებს უცხოთა კაპიტალისტებისაგან ზოგიერთ საქონელს, რომელიც მას ძლიერ ესაჭიროება, და ამით ის შეიქნება უფრო მაგარი.

და ბოლოს ზოგიერთ ამხანაგებს მოეჩვენებათ, თითქოს რუსეთის კომუნისტური პარტია მარჯვნივ გადიხარა. მაგრამ ეს არ არის მართალი. რუსეთის ამხანაგები ჯერ კიდევ ჩვენზე მარცხნივ დგანან. იმათ აქვთ შეურყეველი რწმენა და პროლეტარიატისადმი და მის შემოქმედებითი ძალებისადმი ნდობა. მათ მოახდინეს რევოლუცია, ისინი გამოცდილებით იცნობენ პროლეტარიატს, და ის რასაც ისინი ამბობენ ღრმა სიმართლით არის აღბეჭდილი. და თუ ეხლა ისინი ახალ პოლიტიკას აწარმოებენ, ისინი ამას სჩადიან პროლეტარიატის და გლეხობის ფართო მასებისადმი ნდობის სრული შეგნებით. სამწუხაროთ, ჩვენ ევროპაში არც ეს გამოცდილება და არც პროლეტარულ მასებისადმი ეს ნდობა გვაქვს. (ტაში).

ამხ. ბუხარინის სიტყვა.

როლანდ ხოლსტის შემდეგ სიტყვა ეძლევა ამხ. ბუხარინს. ამხ. ზაქსი აქ ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ კონცესიები და საბჭოთა რუსეთის კაპიტალისტურ ქვეყნებთან სხვა დამოკიდებულებები აძლიერებენ საერთაშორისო კაპიტალის პოზიციებს. მე მინდა მიუთითო სამ მომენტს რომელნიც ამ დებულებების სიყალბეს დაამტკიცებენ:

1) რუსეთში შემოაქვთ საქონელი ყველა ქვეყნებიდან, მაშინ როცა ის, რაც, რუსეთს გააქვს, ნაწილდება სხვა და სხვა ქვეყნებში. ამგვარად შემოზიდულ საქონლის მნიშვნელობა გატანილზე გაცილებით მეტია. 2) ეს მნიშვნელობა უფრო იზრდება, თუ მხედველობაში მივიღებთ შემოზიდული საქონლის არა აბსოლუტურ ღირებულებას, არამედ მის შედარებით მნიშვნელობას რუსეთის სახალხო მეურნეობაში, და თუ შევადარებთ ინგლისის სახალხო მეურნეობისათვის გატანილ საქონლის ასეთსავე მნიშვნელობას, ვთქვათ ნავთის ეკვივალენტით. და ბოლოს, 3) ყოველი ჩვენ მიერ დადებულ საკონცესიო ხელშეკრულება იწვევს პოლიტიკურ კონკურენციას კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, რასაც აქვს თავისი მნიშვნელობა და რაც ყოველთვის უნდა გვახსოვდეს.

აქ ამხ. კოლონტაი ლაპარაკობდა, რომ რუსეთში იქნება ახალი გაბატონებული ბურჟუაზიული კლასი სპეციალისტებისა, ბიუროკრატიისა და ყოფილ ბურჟუაზიულ ელემენტებისაგან შემდგარი. რუსეთის პროლეტარიატს დასჭირდება მესამე რევოლუციის მოხდენა, რომ ხელისუფლება თავის ხელში ჩაიგდოს. მენშევიკებიც ამასვე ლაპარაკობენ, მაგრამ მენშევიკები სთვლიან ოქტომბრის რევოლუციას კონტრრევოლუციათ. და იმათ აქვთ მთლიანი სისტემი: თეზისი, ანტითეზისი და სინტეზი. და ეს უფრო ჰგავს და გამოიყურება ვიდრე კოლონტაის დებულება, რომელიც არ სთვლის ოქტომბრის რევოლუციას კონტრ-რევოლუციათ. თუ ეს მესამე რევოლუცია პრობლემატიურია, მისი განხორციელების თვალსაზრისით, ის სრულებით არ არის პრობლემატიური მენშევიკური თვალსაზრისით. ახლა გაბატონებულ ბურჟუაზიულ კლასის აღმოცენების სქემა, რომლის წინააღმდეგ უნდა მოხდეს მესამე რევოლუცია, მაინც ხელს არ უშლის ამხ. კოლონტაის განაცხადოს, რომ ჩვენში ამ ჟამად გაბატონებულ კლასს წარმოადგენს გლეხობა. მართლაც, ჩვენ გლეხობას ბევრი დავუთმეთ, მაგრამ ეს განა ნიშნავს, რომ ხელისუფლება პროლეტარიატისაგან გლეხობის ხელში გადავიდა? განა ამხ. კოლონტაი იტყვის, რომ ფაბრიკანტი, რომელმაც მუშებს დაუთმო, განა კაპიტალისტათ არ რჩება? ბურჟუაზიული მთავრობები ომის დროს მუშებს უთმობდნენ. ზოგან ეს გამოიხატებოდა იმაში, რომ მუშათა რომელიმე ბელადი იღებდა მინისტრის პორტფელს. მაგრამ მხოლოდ ოპორტუნისტებს შეეძლო დაენახათ ამაში ბურჟუაზიის დიქტატურის მოსპობა და კლასთა თანამშრომლობის დამყარება. ამხ. კოლონტაის თვალსაზრისს რევიზიონიზმის სუნი უდის. ამხ. კოლონტაი გვაშინებდა ჩვენ აგრეთვე სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმით. უნდა აღინიშნოს, რომ ამხ. ლენინი ამ ტერმინს ხმარობდა სხვა ტერმინის უქონლობის გამო, „სახელმწიფოებრივი კაპიტალიზმი დასავლეთში და თანამედროვე ეკონომიურ მეცნიერებაში ნიშნავს, რასაკვირველია, სულ სხვას ვიდრე აქ ამ ტერმინით აღინიშნება. იქ ყველა საწარმოო ძალთა მფლობელი არის ბურჟუაზია მისი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სახით, აქ კი არის განსაკუთრებული ეკონომიური მდგომარეობა, სადაც მფლობელი არის პროლეტარიატი, რომელიც აძლევს იჯარით ამა თუ იმ წარმოებას კაპიტალისტს. აქ ამხ. კოლონტაის დიდი შიში იპყრობს, მაგრამ შიში არავითარ საქმისათვის არ ვარგა. გარდა ამ შიშისა არავითარი სერიოზული არგუმენტაცია ამხ. კოლონტაისაგან ჩვენ აქ არ მოგვისმენია. გორტერი, ამ ჯგუფის იდეოლოგი, რომელსაც ამხ. კოლონტაი უთანაგრძნობს, სწერდა რომ რევოლუცია იღუპება იმისათვის, რომ ჩვენ ვერ გავიგეთ ისტორიული მატერიალიზმი. სამაგიეროთ მე ეხლა ვგებულობ, რომელ ისტორიულ მატერიალიზმზეა აქ ლაპარაკი. ეს არის მუშათა მასების ინიციატივა, რევოლუციონური ლაპარაკი და სხვა კარგი საგნები, რომლებზედაც ამხანაგი კოლონტაი ლაპარაკობდა და რომელიც ლენინის მიერ წამოყენებულ ეკონომიურ პირობებს და მექანიკურ ძალებს ყურადღებას არ აქცევს. ამხ. ჰემპელმა ამხ. კოლონტაის სიტყვაში, მხოლოდ ერთი ისწავლა, ეს არის მუშათა კლასის ინიციატივის განვითარების აუცილებლობა. ამას ჩვენ სავსებით ვეთანხმებით, მაგრამ არც ამხ. ჰემპელმა, არც ამხ. კოლონტაიმ სრულებით არაფერი არ სთქვეს იმის შესახებ, როგორ აპირობენ ისინი ამის გაკეთებას, და ამიტომ მთელი მათი კრიტიკა იყო სავსებით უშინაარსო. ამხ. ჰემპელი ლაპარაკობდა საშიშროებებისა და იმის შესახებ, თუ რა არის საჭირო, რომ რუსეთის კომპარტიამ ნათლად შეიგნოს ისინი. მე მგონია ამხ. ლენინის მოხსენებამაც, და ყველა ჩვენი გამოსვლები [illegible] გვიჩვენებენ, რომ რუსეთის კომუნისტურ პარტიის უკეთ არავის არ აქვს წარმოდგენილი ეს საშიშროებანი და არა თუ მალავს იმათ არამედ პირიქით, მიუთითებს მათზე ყველას, ვინც სოციალურ რევოლუციის საბოლოო გამარჯვებაში დაინტერესებულია. (ტაში).

საბოლოო სიტყვა ეძლევა ამხ. ლენინს, რომელიც აცხადებს, რომ ვინაიდან ის სავსებით ეთანხმება ამხ. ბუხარინის დებულებებს ის საბოლოო სიტყვაზე უარს ამბობს.

შემდეგ პრეზიდიუმს დელეგატების მთელი რიგის სახელით შემოაქვს რეზოლუცია ამხ. ლენინის მოხსენების შესახებ; იმას კენჭს უყრიან და, ერთხმად ღებულობენ.

რეზოლუცია ამხ. ლენინის მოხსენების შესახებ.

კომუნისტური ინტერნაციონალის მესამე მსოფლიო კონგრესი, მოისმინა რა მან ამხ. ლენინის მოხსენება რუსეთის კომუნისტურ პარტიის ტაქტიკის შესახებ და გაეცნო რა ამ მოხსენებაში წამოყენებულ თეზისებს აცხადებს: კომუნისტური ინტერნაციონალის მესამე მსოფლიო კონგრესი აღტაცებით უყურებს რუსეთის პროლეტარიატის თითქმის ოთხი წლის ბრძოლას თავის პოლიტიკურ ხელისუფლების დაპყრობისა და შენარჩუნებისათვის. კონგრესი ერთსულოვნად იწონებს რუსეთის კომუნისტურ პარტიის პოლიტიკას, რომელმაც იმ თავითვე და ყოველ შემთხვევაში, შესძლო მოსალოდნელ საშიშროების სწორედ დანახვა და რევოლუციონური მარქსიზმის პრინციპებთან შეთანხმებით ყოველთვის პოულობდა გზებს და საშუალებებს მათ დასაძლევათ; რომელიც ეხლა, დასვენების დროს სამოქალაქო ომის პროცესში, თავის პოლიტიკით გლეხების მიმართ, კონცესიებისა და მრეწველობის აღდგენის საკითხში, იკრებს თავის გარშემო რუსეთის კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ პროლეტარიატის ყველა ძალებს. მსოფლიო კონგრესი, გამოსთქვამს რა რწმენას, რომ რუსეთის კომუნისტურ პარტიის მხოლოდ ასეთი თანდათანობითი და მიზან შეწონილი პოლიტიკის წყალობით საბჭოთა რუსეთი შეიძლება ითვლებოდეს მსოფლიო რევოლუციის პირველ და უმთავრეს დასაყრდენობათ, ამავე დროს კიცხავს ის გამცემლობას მენშევიკური პარტიებისას რომელნიც საბჭოთა რუსეთისას და რუსეთის კომუნისტურ პარტიის წინააღმდეგ გალაშქრებით აძლიერებენ კაპიტალისტურ რეაქციას რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში და ცდილობენ დაგვაშორონ სოციალური რევოლუციას მსოფლიო მასშტაბით.

მსოფლიო კონგრესი მოუწოდებს ყველა ქვეყნების პროლეტარიატს ერთსულოვნათ დადგეს იგი რუსეთის მუშების და გლეხების მხარეზე და გაითენოს ოქტომბრის დღეები მთელს დედამიწაზე.

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლას.

გაუმარჯოს მსოფლიო სოციალურ რევოლუციას!

საბჭოთა რუსეთი და პოლონეთი

პოლონეთის მთავრობის ნოტა.

მოსკოვი. 29 სექტემბერი. (რადიო). გარეშე საქმეთა კომისარიატმა გამოაქვეყნა რ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის ნოტაზე პასუხად მიღებული პოლონეთის მთავრობის ნოტა 27 სექტემბრის თარიღით. ნოტა აღნიშნავს, რომ პოლონეთის მთავრობამ სამოსამართლო ხელისუფლებას მიანდო იმ დოკუმენტების სინამდვილის გამოძიება, რომელიც გამოქვეყნებულია გარეშე საქმეთა კომისარიატის მიერ, როგორც ბანდიტურ-ელემენტების პოლონეთის მთავრობასთან კავშირის არსებობის დამამტკიცებელი საბუთი. ნოტა დასძენს, რომ რუსეთის ნოტაში აღნიშნულ ზოგიერთ პირებმა დასტოვეს პოლონეთი, ხოლო დარჩენილები საბჭოთა რესპუბლიკისათვის არავითარ მუქარას არ წარმოადგენენ. პოლონეთის მთავრობა აღნიშნულ პირთა მიმართ აასრულებს რიგის ხელშეკრულობას, თუ დამტკიცებული იქნება საბჭოთა რესპუბლიკისადმი მათი მტრული მოქმედება. ნოტა უარყოფს კაზაკთა ნაწილების არსებობას პოლონეთის სასაზღვრო რაზმში. პოლონეთის მთავრობა გადაჭრით წინააღმდეგია შინაგან საქმეებში ჩარევისა, მაგრამ სასტიკად განსჯის სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების პირთა მოქმედებას იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულს, რომელიც პოლონეთთან მშვიდობიან მდგომარეობაში იმყოფება. ნოტა უარყოფს საბჭოთა მთავრობის ცნობას იმ ხელშეკრულების შესახებ, რომელსაც საფრანგეთი პოლონეთზე ახდენს. საფრანგეთის ნოტა 3 სექტემბრის თარიღით პოლონეთისათვის არ ყოფილა გადაცემული. დასასრულ ნოტა აღნიშნავს მშვიდობის მოყვარეობითი განზრახვებს პოლონეთის მთავრობისას, რომლის ერთად ერთ მიზანს შეადგენს რიგის ხელშეკრულობის პირობათა ასრულება.

აგრესიულ განზრახვებს უარყოფენ.

მოსკოვი. 29 სექტემბერი. (რადიო). პოლონეთის ელჩიმ პარიზში გამოუშვა ოფიციალური ცნობა, რომელშიაც უარყოფს პოლონეთის აგრესიულ განზრახვების შესახებ გავრცელებულ ხმებს. ცნობა აღნიშნავს, რომ პოლონეთის ელჩი მოსკოვში მხოლოდ შეეცადა საბჭოთა მთავრობაზე გავლენა მოეხდინა რიგის ხელშეკრულობის ზოგიერთ დადგენილებათა სწრაფად ასრულების საქმეში. ყოველ შემთხვევაში ულტიმატუმზე ლაპარაკიც არ არის (გამოშვებულია).

საბჭოთა რუსეთი და ინგლისი

ინგლისის ნოტა.

მოსკოვი. 29 სექტემბერი. (რადიო). გარეშე საქმეთა კომისარმა გამოაქვეყნა საბჭოთა რუსეთისადმი წარდგენილ ინგლისის მთავრობის ნოტის შინაარსი. ნოტა საბჭოთა მთავრობას ბრალსა სდებს რუსეთ-ინგლისის ხელშეკრულობის პირობათა აუსრულებლობაში, რაც გამოიხატა ინდოეთის ბრიტანულ სამფლობელოებში რევოლიუციურ აგიტაციის გაწევაში, და საბჭოთა მთავრობასაგან საბოლოო გარანტიას მოითხოვს (დასასრული მიღებული არ არის).

კაპიტალიზმის სამეფოებში

ინგლისი

უმუშევართა მოძრაობა ინგლისში

ლონდონი, 18 სექტემბ. უმუშევართა საკითხი ინგლისში დღითი დღე მწვავდება. უმუშევართა შორის რევოლიუციური კომუნისტური პროპაგანდა ძლიერდება: ხელისუფლების განკარგულებით უმუშევართა შორის აგიტაციის საწინააღმდეგო ზომების განსახორციელებლად შედგენილია განსაკუთრებული კომიტეტი.

პოპლარში გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა მიუხედავად მუშათა საბჭოს მთელი რიგ წევრების დაპატიმრებისა, ამ საბჭოში მაინც არის 18 კაცი, რომელნიც განაგრძობენ უმუშევართა ხელმძღვანელობას. პირველ ყოვლისა საბჭომ დაადგინა, მოსთხოვოს უმუშევართა განთავისუფლება ყოველგვარ გადასახადისაგან. სერიოზულ მღელვარებას ჰქონდა ადგილი არა მარტო პოპლარში, არამედ ბრისტოლშიაც, სადაც ბრბომ შეეცადა იერიშით აეღო ღარიბთა მზრუნველობის კანცელარია და პოლიციელებს ქვები დაუშინა. უმუშევართა დიდ ექსცესების შესახებ იტყობინებიან აგრეთვე დენდიდან, სადაც უმუშევრებმა ქვები დაუშინეს ეტლს, რომლითაც ადგილობრივი ქალაქის მოურავი მიდიოდა. ლივერპულში უმუშევრებმა გადასწყვიტეს გამართონ ყოველ დღიურად 12 და 1 საათზე მსვლელობა ქუჩებში. შემდეგი მოქმედება თავის დამოკიდებული იქნება მსვლელობაში მონაწილე მასსის რაოდენობაზე. უმუშევართ კომიტეტმა შორდიჩში დაიწყო პიკეტების მორიგეობა ბინის ფასის შეტანის დაუშვებლობის მიზნით, მანამდე სანამ ყველა უმუშევართ არ მიეცემათ დახმარება. უმუშევართათვის დახმარების საკითხი მოულოდნელად გამწვავდა. ჯანმრთელობის სამინისტრომ უმუშევართათვის დახმარების გაცემა უკანონოდ მიიჩნია. ამ დახმარების გაცემა შეჩერებულია განსაკუთრებულ ინსტრუქციის გამოცემამდე.

ქრონიკა

რევოლიუციის მუზეუმის გამოფენა. რევოლიუციის მუზეუმის გამოფენა (რევოლიუციურ პლაკატებისა და ფულის ნიშნების) მისდამი განსაკუთრებულ ინტერესის გამო, გაგრძელებულია ოქტომბრის 5-მდე. გამოფენაზე დიდის ხალისით მიდიან ახალგაზრდობა, მუშები და წითელ არმიელები.

— **იუსტიციის სახალხო კომისარიატში.** ამ ჟამათ იუსტიციის სახალხო კომისარიატში აწარმოებენ დიდ მუშაობას მთელი იუსტიციის რეორგანიზაციისთვის რ. ს. ფ. ს. რ. და ს. ს. რ. ა. მსგავსათ. გაუქმებულია მთელი რიგი განყოფილებები და ქვეგანყოფილებები როგორც ცენტრისა, ისე სამაზრო ორგანოებისა. გაუქმებულია იუსტიციის ქალაქის განყოფილება და მისი ფუნქციები გადაეცა იუსტიციის კომისარიატის სასამართლოების მოწყობის განყოფილებას. შტატები შეამოკლეს საშუალოთ 50 პროცენტით. სახალხო მოსამართლეები და გამომძიებელნი 19 სექტემბრიდან შეუდგნენ მუშაობას. ქ. თბილისი განაწილებულია 16 ნაწილად. ყოველ ნაწილში თითო სახალხო მოსამართლეა და თითო სახალხო გამომძიებელი. სახალხო მოსამართლეთა შორის არიან ქალები, წარმომადგენელნი პროფკავშირებისა. სიები სახალხო მსაჯულთა, ბრალმდებელთა და იმ პირთა, რომლებსაც უფლება აქვთ დამცველებათ გამოვიდნენ სახალხო სასამართლოში, უკვე შეადგინეს. მოკლე ხანში თბილისის რაიონში განზრახულია გაიხსნას უფლების დაცვის ბიურო იურიდიულ რჩევების მისაცემათ ხალხისთვის. სერიოზული ყურადღება მიაქცია კომისარიატმა საპატიმროებს. ძირითად ამოცანად დასახულია საპატიმროებში მყოფ ყველა შრომის უნარიან მოქალაქეებს მონაწილეობა მიაღებინონ ნაყოფიერ მუშაობაში. ამ მიზნით გამასწორებელ სახლთან მოწყობილია სახელოსნოები—სადურგლო, საფეხსაცმელო, [illegible] და საზეინკლო-სამჭედლო. აგრეთვე შეუდგნენ [illegible] სამკერვალო სახელოსნოების მოწყობას, ამას გარდა იქვე არის საპნის ქარხანა, რომელსაც მალე აამუშავებენ. სახელოსნოების ორგანიზაციასთან, ერთად იუსტიციის სახალხო კომისარიატმა სერიოზული ყურადღება მიაქცია კულტურულ განმანათლებელ მუშაობას საპატიმროებში. ამ მიზნით მოწყობილია კულტურულ-განმანათლებელი განყოფილება შემდეგი სექციებით, სასკოლო, საბიბლიოთეკო და სათეატრო. ყველა დაპატიმრებულნი განყოფილნი არიან ჯგუფებათ, წერა-კითხვის უცოდინარნი აღრიცხულნი არიან. მოწვეული არიან მასწავლებელნი. ამ სკოლისათვის მიცემულია რვეულები, ანბანები, წიგნები ბიბლიოთეკებისათვის და ყველა საჭირო საგნები. საპატიმროებში იღებენ გაზეთებს, რომლებსაც უკითხავენ პატიმართ. მოწყობილია აგრეთვე თეატრალური სექცია, რომელიც თითონ პატიმართა ძალებით სდგამს წარმოდგენებს. იუსტიციის სახალხო კომისარიატი დიდ ნაკლებულებას გრძნობს ადგილობრივ მომუშავეებში, რის წყალობით ფერხდება ცხოვრებაში გატარება დამსჯელ-გამასწორებელ ზომებისა, ნამეტნავათ ძლიერ გრძნობს საპასუხისმგებლო თანამდებობაზე გასამწესებლათ გამოსადეგ პირების ნაკლებულებას, ყველა ზემოაღნიშნულის გარდა, იუსტიციის კომისარიატში ამ ჟამად ახდენენ რესპუბლიკის ყველა ტრიბუნალების რეორგანიზაციას, მათ შორის უმაღლეს ტრიბუნალის რეორგანიზაციასაც უკანასკნელთან დაარსებულ იქნება განყოფილებანი საკასაციო და სამხედრო.

თეატრი და ხელოვნება

სახელმწიფო საოპერო თეატრი.

დღეს, 1 ოქტომბერს, სახელმწიფო საოპერო თეატრი ხსნის სეზონს, დადგმული იქნება ორიგინალური ქართული ოპერა „აბესალომ და ეთერი", მუსიკა ზ. პ. ფალიაშვილისა, მოწყობა-დადგმა ა. რ. წუწუნავასი, მონაწილეობენ: მანდენოვი, გაბაშიძე, მაზოვეცკაია, ერმოლინსკაია, სარაჯიშვილი, ელიოზიშვილი, კურბატოვი, ქურხული და სხვა. ლოტბარობს თვით ავტორი.

მეორე წარმოდგენა კვირას, 2 ოქტომბერს, წარმოდგენილი იქნება „ზღაპრები ჰოფმანისა", ოპერა ოფენბახისა, მონაწილეობენ: სტაროსტინა, ერმოლინსკაია, თუმანოვი-მახარაძე, ერვანდელი, ზალიპსკი, სიმინინი, დემიანენკო, კურბატოვი, გუდიმ დევკოვიჩი, ბლაგოობრაზოვი, თუმანოვი, ქურხული და სხ. ლოტბარობს სტოლერმანი, მოწყობა-დადგმა ა. წუწუნავასი.

სამშაბათს, 4 ოქტომბერს, „ევგენი ონეგინი" ჩაიკოვსკისა, მონაწილეობენ: ბოკოვი, ერმოლინსკაია, ნეიმანი, სარაჯიშვილი, ელიოზიშვილი, იზეცკი, დემიანენკო, კურბატოვი და ქურხული, ოპერას ლოტბარობს მიზანდარი.

ოთხშაბათს, 5 ოქტომბერს, „რიგოლეტტო" ვერდისა, ზენკინა, ზიბაროვა, ნეიმანი, ზალიპსკი, პალიაევი, იზეცკი, დემიანენკო, გუდიმ-დევკოვიჩი, ქურხული და ბლაგოობრაზოვი, ლოტბარობს პ. პ. ფალიაშვილი.

წარმოდგენების დასაწყისი საღამოს 8 საათზე. მესამე ზარის შემდეგ აკრძალულია საცქერ დარბაზში შესვლა.

ყველა გამოცხადებულ წარმოდგენებზე კიდეც დაიწყო ბილეთების გაყიდვა; დილაობით 10—3 საათამდე, საღამოთი 6—10 საათამდე.

საშუალო სკოლებისათვის მასწავლებელთა საჭიროება

(განათლების კომისარიატის საყურადღებოთ)

მას შემდეგ, რაც ჩვენში საბჭოთა ძალა-უფლება განმტკიცდა სწავლა-განათლების საქმეს მეტი ყურადღება მიექცა, და უნდა მოველოდეთ, რომ ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკა აუარებელი სკოლებით მოიფინება. მაგრამ, სამწუხაროთ, უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ ჩვენში დიდია მასწავლებელთა ნაკლულევანება. განსაკუთრებით კი პროვინციის საშუალო სკოლებში მასწავლებლობენ უმეტესათ არა მომზადებული პირნი, რომელთაც, რასაკვირველია, არ შეუძლიათ სწავლის საქმე არ შეაფერხონ. ამ ნაკლის გამოსასწორებლად საჭირო იყო მოკლე დროიანი კურსების მოწყობა უნივერსიტეტთან, რომელიც მოამზადებდა ცოტათ თუ ბევრად საშუალო სკოლებისათვის შესაფერის კადრს მასწავლებლებისას. წარსულში უნივერსიტეტთან ასეთი კურსები იყო, რომელმაც თავის მიზანს სავსებით მიაღწია, რადგანაც კურსებს ხელმძღვანელობდა გამოჩენილი პროფესორები და ლექტორები. წელს კურსები ოციოდე სტუდენტმა დაასრულა, რომლებიც შესაფერისი ცოდნით და პრაქტიკით აღჭურვილნი განაწილებულ იქნენ სხვადასხვა საშუალო სკოლებში. მაგრამ ნაკლულევანება მასწავლებლობის ისე დიდია, რომ ეს რიცხვი მხოლოდ წვეთია ზღვაში, საჭიროა იყოს წელსაც გახსნილიყო ასეთი კურსები, სადაც უნივერსიტეტის ოთხი სემესტრის და საპედაგოგიო ინსტიტუტში კურსდასრულებულნი შევიდოდნენ ძველი კურსების გამოცდილნი პროფესორები წელსაც შეძლებდნენ ენერგიულად ემუშავნათ და მოემზადებინათ საშუალო სკოლებისათვის მასწავლებლები, ისე როგორც ეს მათ შეძლეს წარსულში.

წარსულმა პრაქტიკამ დამარწმუნა, რომ ასეთ კურსებს დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია და აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ წელსაც მოეწყოს ისინი. წინააღმდეგ შემთხვევაში არამც თუ შეძლება არ გვექნება ახალი საშუალო სკოლების გახსნისა, ძველი არსებული სკოლებიც ბევრი დაიხურება უმასწავლებლობისა გამო. ვიმეორებ ასეთი კურსების მოწყობა საჭიროა წელსაც და ამ გარემოებას აუცილებლად ყურადღება უნდა მიაქციოს განათლების კომისარიატმა და ყოველივე ღონე იღონოს, რომ წელსაც მოეწყოს ისინი სახელმწიფო უნივერსიტეტთან. როგორც გამოირკვა, სწავლა 1 ოქტომბერს იწყება სახელმწიფო უნივერსიტეტში და მაშასადამე, ეს საკითხი ეხლავე უნდა გადაიჭრას.

პროვინციების სკოლები უმასწავლებლოთ დარჩება, თუ ამ საკითხს დროზე არ მიექცა ყურადღება ვისგანაც ჯერ არს.

მასწავლებელთაგანი.

პარტიული ცხოვრება

დადგენილება

ს. კ. პ. ც. კ. 1921 წ. 22 აგვისტოს თარიღით

საქართველოს კომუნისტური პარტიის და კომუნისტური ახალგაზრდათა კავშირის განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილების პოლიტიკურ ხელმძღვანელობის გასაწევად და მუშაობის გასაძლიერებლად არსდება ს. ს. ს. რ. სამხედრო საბჭო შემდეგი შემადგენლობით: 1. ს. კ. პ. ც. კ. წარმომადგენელი ამხ. ორახელაშვილი. 2. —ამხ. დონენკო. 3. ს. ს. ს. რ. სამხ. და საზღ. კომ.—ამხ. ელიავა. 4. საქ. საგანგ. კომისიის—ამხ. ცივცივაძე. 5. რესპუბლიკის განსაკუთრებულ დანიშნულების ნაწილების უფროსი—ამხ. ხუტუაშვილი მიხა ([illegible]).

დამატებითი წესდება სამხედრო საბჭოზე იქნება დაგზავნილი ცირკულიარულად საქართველოს ყველა კომპარტიულ ორგანიზაციებს.

ც. კ. მდივანი **ოკუჯავა.**
გამგე საორგ. საინსტ. განყოფ.
დონენკო.

—

დაბა აბაშა

18 სექტემბერს, დ. აბაშაში აქაურ რაიპარტკომის ინიციატივით მოხდა აბაშის რაიონის ყველა იაჩეიკების და თემკომების პასუხისმგებელ მდივნების თათბირი. თათბირს დაესწრენ 12 თემიდან. დღის წესრიგი: 1) პარტიული დისციპლინა, 2) მოხსენება ადგილებიდან, 3) პარტიული დღე.

1-ლი საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა აბაშის რაიპარტკომის პასუხისმგებელ მდივანმა ამხ. ვ. კაჭარავამ. კრებამ მოიწონა მოხსენება და გამოსთქვა საყვედური ზოგიერთ ამხანაგების მიერ დისციპლინის დარღვევაზე და დაუდევრობაზე.

2) იყო მოხსენებები ადგილებიდან. მარნის თემის პარტკომის პასუხისმგებელ მდივნის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ პარტიის წევრებსა და რევკომის შორის ყოფილა დიდი უთანხმოება და საჭიროა ზომების მიღება მის სალიკვიდაციოთ.

სოფ. აბაშის თემის პარტკომის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამავე თემის რევკომის თავმჯდომარე არ ესწრება პარტკომის სხდომას, როგორც წევრი ამ ორგანიზაციის და იჩენს გულგრილობას პარტიისადმი. საერთოდ სოფელ აბაშის ამხანაგებს ეტყობათ ინდიფერენტიზმი.

აღსანიშნავია გეზით გულუხეთის თემის პარტკომის პასუხისმგებელ მდივნის მოხსენება, სადაც აღნიშნავს, რომ ზოგიერთი ამხანაგები მოითხოვენ თურმე „ეკონომიურად დაკმაყოფილებას": თუ არაფერი მოგვცეს არ გვინდა პარტიაო. საცოდავებმა ნუ თუ არ იციან, რომ რწმენისთვის ჯილდოს არავინ მიიღებს? მაგრამ ეტყობათ, რომ ისინი ყოფილან შემთხვეულნი ჩვენ პარტიაში და რაიპარტკომი საჩქაროდ მიიღებს ზომებს, რომ ამისთანა ელემენტებმა ჩირქი არ მოსცხონ ჩვენს პარტიას.

დანარჩენ სხვა თემებიდან მოხსენებები იყო დამაკმაყოფილებელი.

3) პარტიულ დღეთ დანიშნულ იქნა შაბათი.

დასასრულ რაიპარტკომმა მოუწოდა ამხანაგებს პარტიულ მუშაობის გაცხოველებისაკენ და რომ დარაჯად დაუდგნენ რევოლიუციას, რის შემდეგ კრება დაიხურა.

ვახკაჰ.

—

ტყიბული

17 აგვისტოს შესდგა ტყიბულის მაზრის და სადგურის მესამე იაჩეიკის კრება ამხ. თეოფილე ვარდოსანიძის თავმჯდომარეობით.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1. რუსეთის დამშეულთა დახმარება. 2. მილიციონერ სოფრომაძის გადაყვანა ტყიბულიდან. 3. მიმდინარე საკითხი, მოისმინა რა კრებამ ამხ. ალ. ასათიანის მოხსენება ვოლგის მხარეების დამშეულთა დახმარების შესახებ, კრებამ დაადგინა არცერთმა მუშამ, მოსამსახურემ, არ დაზოგოს თავისი წვლილი ჩვენი მოძმეების დასახმარებლათ და ყოველივე ძალ-ღონით ხელი შეუწყოს ამ დიდ საქმეს ჯერ ერთდროული დახმარებით, შემდეგ ყოველთვიური ჯამაგირიდან მნიშვნელოვანი პროცენტის გადადებით.

შემდეგ კრება გადავიდა მეორე საკითხზე, ვინაიდან იაჩეიკის წევრების უმრავლესობა უყენებს ბრალდებას ზემო მოხსენებულ მილიციონერს, სოფრომაძეს როგორც არა საიმედო პიროვნებას და მასთან საბჭოთა ძალაუფლების მოწინააღმდეგე, ამისათვის კრებამ დაადგინა ეთხოვოს რკინის გზის მილიციის უფროსს, რათა დაუყოვნებლივ იქნეს სოფრომაძე გადაყვანილი ტყიბულიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში ეცნობოს სამაზრო პარტკომს მისი წარსული და ეხლანდელი მოღვაწეობა.

კრების თავმჯ. **თ. ვარდოსანიძე.**

წარმოებითი პროფკავშირებში

სრულიად საქართველოს კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა ყრილობა.

სექტემბრის 22 დილის 11 საათზე ქალაქის ყოფილ საბჭოში გაიხსნა სრულიად საქართველოს კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა ყრილობა კომუნალურ განყოფილებათა გამგეების მონაწილეობით. ყრილობას ხსნის გამგეობის სახელით ამხ. სერგეევი. ესწრება 47 წარმომადგენელი ქალაქებიდან და კომუნალურ განყოფილებათა 12 გამგე. კომპარტიის ცენტრალ. კომიტეტისა და საქართველოს რევკომის სახელით ესალმება ამხ. გეგეჭკორი, და პროფსაბჭოს სახელით ამხ. კიკნაძე. აქვეყნებენ კომუნალურ მუშაკთა პროპაგანდის და აგიტაციის საერთაშორისო კომიტეტის მოწოდებას.

სალამი ყრილობისაგან.

ყრილობა უგზავნის შემდეგ მისალმების დეპეშებს: წითელ პროფკავშირთა საერთაშორისო საბჭოს, სრულიად რუსეთის კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა ცენტრალურ გამგეობას, გაერთიანებულ კავშირს რუსეთის კომუნალურ მეურნეობის ს, ამხ. ლენინს, პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საქრევკომს, პროფკავშირთა საბჭოს, საქართველოს წითელ ლაშქარს და რუსეთის წითელ ლაშქარს.

პრეზიდიუმის არჩევნები.

ყრილობის კომფრაქციის მიერ წამოყენებულ სიით არჩეულნი არიან: პრეზიდიუმის შემადგენლობაში: ამხ სერგეევი, მახარაძე, დ. შირიაევისა, რუხაძე და მაზმანოვი. სარედაქციო კოლლეგიაში: ამხ. მახარაძე, გულვიაშვილი და აფერინი. სამანდატო კომისიაში: ამხ. კარაევ, უნაფქაშვილი და გავრილენკო.

დღიური წესრიგი

მიღებულია შემდეგი დღიური წესრიგი.

1) მიმდინარე მომენტი და საბჭოთა აღმშენებლობა.
2) კავშირთა მოუწყობლობა სახალხო მეურნეობის აღდგენაში.
3) შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან არსებულ კომუნალურ მდგომარეობის გამგის მოხსენება.
4) კომუნალურ მეურნეობისა და მიწის განყოფილების და სხვათა მონათესავე დაწესებულებათა გაერთიანება.
5) მოხსენებები ადგილებიდან.
6) სატარიფო საკითხი და მუშათა მომარაგება.
7) კ. მ. მ. კავშირის ორგანიზაციული მიზნები.
8) კომ. მეურნ. მუშ. კავშირის კულტურულ-განმანათლებელ მიზნების შესახებ მოხსენება.
9) ცენტრალურ გამგეობის არჩევნები.
10) დელეგატების არჩევა სრულიად რუსეთის კომუნ. მეურნ. მუშაკთა კავშირის ყრილობაზე.
11) სარევიზიო კომისიის არჩევნები.
12) მიმდინარე საკითხები.

—

ხის დამმუშავებელთა კონფერენცია

სექტემბრის 21-ს გაიხსნა ხის დამუშავებელთა კონფერენცია. პრეზიდიუმის შემადგენლობაში შედიან ამხ. მაშკევიჩი, დაცკოვი, ზველუდსკი, ბარბაქიძე და კალაძე.

მისალმებით ს. პ. კ. ს. სახელით გამოვიდა ამხ. ოდილავაძე, რომელმაც აღნიშნა მთელი რიგი მნიშვნელოვან საკითხებისა, რომლებიც სდგას ყრილობის წინაშე. ამხ. ოდილავაძემ თავის ვრცელ მოხსენებაში აღნიშნა როლი და მნიშვნელობა, რომელიც მოიხვეჭა პროფესიონალურმა კავშირმა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების მოწყობის საქმეში.

ამხ. დაცკოვი მიესალმა ყრილობას ხის დამმუშავებელთა კავშირის დროებითი ბიუროს სახელით.

პროვინციაში

ქ. სურამი

მთელი ზაფხულის განმავლობაში მთავარი ყურადღება საზოგადოებისა მიიქცია „მუშათა კლუბმა", რომელთანაც არსებობს ხელოვნების სხვა და სხვა დარგები. ამ დარგთა შორის განსაკუთრებით საყურადღებოა „დრამატიული წრე", რომელიც, დღიდან დაარსებისა, შეძლების დაგვარად ემსახურებოდა ხალხს. მთელი საზაფხულო სეზონის განმავლობაში სისტემატიურად (კვირაში ორჯერ) იმართებოდა წარმოდგენები, რომელზედაც ხალხი ბლომად იკრიბებოდა, და სცენის მოყვარეთა თამაშით ნასიამოვნები ბრუნდებოდა სახლში. წარმოდგენილი იქმნა მთელი სეზონის განმავლობაში: „გამცემი", „ქურდის კოცნა", „შენი ჭირიმე", „მაწანწალა სამოთხეში", „ამ დროის გმირები", „ბურუსი", „რაც გინახავს ვეღარ ნახავ" და მრავალი სხვა.

უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სურამის სცენაზე მიწვეულ იქნა, რამოდენიმე სასცენო ნიჭით დაჯილდოვებული სცენის მოყვარენი, როგორიც არიან: კ. მურვანიშვილი, შ. ორჯონიკიძე, მაღალაშვილი, შ. ვარსამაშვილი, ს. იაშვილი, დ. ლომიძე, ნ. ერისთავი, შ. როსტომოვი და სხ. განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ამ წრის რეჟისორი—ახალგაზრდა სცენის მოყვარე კოწია მურვანიშვილი. ამის მეოხებითაა, რომ ყველა ეს სერიოზული პიესები ტარდებოდა სრულიად დამაკმაყოფილებლად და ყოველივე სცენის მოყვარეს ეტყობოდა წინასწარი ენერგიული მომზადება. საზაფხულო სეზონში, დრამატიული წრის მუშაობის აღსანიშნავად სურამის მუშათა კლუბის გამგეობის მიერ გამართული იქნა წრის ბენეფისი. წარმოდგენილი იქმა სიო კანტურიშვილის პიესა „ბურუსი", რომელზედაც ხალხი ბლომად დაესწრო, თუ მივიღებთ მხედველობაში წვიმიან ამინდს. პიესამ თითქმის უნაკლოდ ჩაიარა, რადგანაც ყველა სცენის მოყვარე მოხდენილად ასრულებდა დაკისრებულ როლს. აქ წარმოსთქვა სიტყვა ამხ. გ. ჯობაძემ საზაფხულო სეზონის მუშაობის შესახებ და სცენის მოყვარეებმა მიიღეს მრავალი საჩუქრები. ვუსურვოთ სურამის დრამატიულ წრეს, ამხ. კ. მურვანიშვილის რეჟისორობით, კვლავაც გაეწიოს ნაყოფიერი შრომა.

იაშა.

—

ს. შუხუთი

არცერთი სოფელი ოზურგეთის მაზრაში იმდენ დაბრკოლებას არ განიცდის სასკოლო შენობის უქონლობის გამო, რამდენსაც სოფელი შუხუთი.

ამ ოცი წლის წინად ამ სოფლის მცხოვრებლებმა დაიწყეს სკოლისათვის ვებერთელა შენობა მაგრამ, სხვა და სხვა მიზეზების გამო, ეს შენობა დღესაც დაუმთავრებელია და იმდენ გულშემზარავ სანახაობას წარმოადგენს, რომ არ შეუძლია სოფლის და გლეხკაცობის გულშემატკივარმა ადამიანმა მას ისე შეხედოს, რომ არ ამოიოხროს.

გასულ წელს ერთი სართული უკვე დასრულებული და გადახურული იყო. ხალხმა მოინდომა მეორე სართულის დადგმა და გადახურვა, მაგრამ ვერ მოახერხა. გასულ ზაფხულში დაახლოვებით ერთი ადლის სიმაღლე კედელი ძლივს მიუმატეს და ისიც ისეთი უვარგისი აგურიდან, რომ წვიმისაგან ჩამოინგრა და აურება ხარჯმა და შრომამ უქმად ჩაიარა.

ამ ფრიად სასარგებლო და მნიშვნელოვან საქმეს ჯერ არავითარი ყურადღება არ მიქცევია. ქ. ლანჩხუთში არსებულ ტექნიკურ განყოფილებას ამ საკითხის გარშემო არავითარი შუამდგომლობა არ აღუძრავს უმაღლესი მთავრობის წინაშე.

ეს საკითხი და მისი მოგვარება მძიმე ლოდივით აწევს გულზედ თვითეულ ადგილობრივ პარტიის წევრთ და ხალხის გულშემატკივართ. „რა ვქნათ, რა საშუალებით დავამთავროთ სკოლის შენობა, როგორ მოვაწყოთ ეს საქმე", აი აქაური გლეხკაცობის და კომპარტიის წევრთა გახურებული ფიქრი. თუ ეს შენობა წელს არ დამთავრდა და არ გადაიხურა, შემდეგისათვის აღარ ივარგებს და მთელი ოცი წლის განმავლობაში ერთი თემის ნაშრომი უქმად გაიარს და დაინგრევა.

ამას წინად ადგილობრივმა კომპარტიის ორგანიზაციამ იმსჯელა ამ საკითხის შესახებ და დაადგინა, რომ ეთხოვა მთავრობისათვის 40 ათასი აგური ნისიათ, რომლის საფასურის გადახდას თემი კისრულობს მომავალ წლის მოსავლით. სხვა მასალა კი, როგორც არის კირი, სილა, ხე ტყე და სხვა დაივალა თვითონ დაამზადონ თავიანთი შრომით. საკირე ქვას ზიდვას და კირის დაწვის სამზადისს უკვე შეუდგნენ.

აგურის შესახებ კი მიმართეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს, რომელმაც აღგვითქვა თხოვნის შესრულება, რამაც დიდი სიხარული და აღფრთოვანება გამოიწვია ამ საქმის მოგვარებით დაინტერესებულ პირებში. ვიმედოვნებთ რომ მთავრობა დააკმაყოფილებს ჩვენს თხოვნას და მით მოგვცემს საშუალებას მოვაგვაროთ ეს ფრიად სასარგებლო და მნიშვნელოვანი საქმე, რაც აგვაშორებს თავიდან აუარებელ ზარალს და გამოგვიყვანს მდგომარეობიდან, ჩვენ გვექნება მაშინ მშვენიერი სასკოლო შენობა, სადაც მოთავსდება მთელი თემის მოსწავლე ახალგაზრდობა, მათ მიეცემათ საშუალება არ დაიყინონ უვარგის ხის შენობაში სიცივისაგან.

ა. ბ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 71

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა—იმ საწარმოო დაწესებულების მუშათა აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ, რომელიც დაწესებულებაც იხურება, ან ამცირებს თავის წარმოებას.

რათა სათანადოდ გამოყენებულ იქნეს მუშა ხელი იმ საწარმოო დაწესებულებისა, რომელიც ან სრულიად დაიხურება, ან თავის მოქმედებას ამცირებს,—საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. ყოველი საწარმოო დაწესებულება, რომელიც წარმოებას ან სრულიად შესწყვეტს, ან დროებით შეაჩერებს, ვალდებულია აცნობოს შრომის განყოფილების მუშა ხელის აღრიცხვა—განაწილების ადგილობრივ ქვე-განყოფილებას, ორი კვირით ადრე, ან ყოველ შემთხვევაში, წარმოების შეჩერების თაობაზე ცნობის მიღებისთანავე.

ის საწარმოო დაწესებულება, რომელიც ამ ჟამად არა მუშაობს, ვალდებულია ცნობა,—ამა დადგენილების მეორე მუხლის თანახმად, წარუდგინოს: ტფილისში— შრომის სახალხო კომისარიატს, პროვინციაში— შრომის ადგილობრივ ორგანოებს, ერთი კვირის ვადაზე დღიდან დადგენილების გამოქვეყნებისა ადგილობრივ რევოლიუციონური კომიტეტის მიერ.

2. მუშა-ხელის აღრიცხვა-განაწილების ქვე განყოფილებათათვის წარსადგენ ცნობაში უნდა აღინიშნოს:

ა) განთავისუფლებულ მუშა ხელის ნამდვილი რაოდენობა—პროფესიისა, კატეგორიისა და სქესის მიხედვით.

ბ) რა დროიდან არიან მუშები განთავისუფლებულნი.

გ) განზრახულია, — მუშებისათვის საბოლოო ანგარიშის გასწორება, თუ მათი დროებითი განთავისუფლება (უკანასკნელ შემთხვევაში უნდა აღინიშნოს, თუ რა ვადით განთავისუფლდებიან მუშები).

დ) წარმოების დახურვის მიზეზი.

ე) იმ შემთხვევაში, როდესაც მუშაობა დროებით შეჩერებულია, წარმოების დატოვებისა, სამსახურიდან დათხოვნისა ან შვებულებაში წასვლის ნებართვის მიცემა, აგრეთვე მუშებისათვის საბოლოო ანგარიშის გასწორება, წარმოების შემცირებისა ან სრულიად შეწყვეტის გამო,—არ შეიძლება მოხდეს მუშა ხელის აღრიცხვა-განაწილების ადგილობრივი ქვე-განყოფილების უცნობებლად და უდასტუროდ.

4) მუშაობისაგან განთავისუფლებულ მუშათა განაწილება და გამოყენება უნდა სწარმოებდეს თანახმად შრომის სახალხო კომისარიატის ინსტრუქციისა, რომელიც ცალკე უნდა იქნეს გამოცემული.

5. იმ მუშებს, რომელნიც, პატივსადებ მიზეზის გარეშე, უარს განაცხადებენ სხვა წარმოებაში გადასვლაზე ან მუშა ხელის აღრიცხვა განაწილების ქ. განყოფილ. მიერ დანიშნულ რაიმე სამუშაოზე, აუცილებლად უნდა მოესპოთ გასამრჯელო იმ დროისათვის, რაც საწარმოო დაწესებულება მომცდარი ან დახურული იყო და დაეკისროთ შრომის სახ. კომისარიატის ინსტრუქციის თანახმად, იძულებითი მუშაობა.

6. დროებითი მომცდარი საწარმოო დაწესებულება, უკეთუ მუშაობას განაახლებს, ვალდებულია ამის შესახებ წინადვე აცნობოს მუშა ხელის აღრიცხვა-განაწილების ადგილობრივ ქვე-განყოფილებას.

7. ამა დადგენილების ცხოვრებაში გატარება და მისი სისწორით აღსრულება დაევალება მუშა-ხელის აღრიცხვა განაწილების ქვე-განყოფილებას და საწარმოო დაწესებულების ადმინისტრატიულ ორგანოებს, რომელნიც პასუხს აგებენ, უკეთუ დადგენილება ესე აუსრულებელ ან დარღვეულ იქნა.

8. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს ჰმართებთ დაუყოვნებლივ შეამოწმონ, გატარებულია თუ არა ცხოვრებაში დადგენილება ესე მომცდარ წარმოებათა მიმართ და კვლავ გაუწიონ ნამდვილი კონტროლი ამა დადგენილების განხორციელებისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოო დაწესებულებანი ამა დადგენილებას არ ასრულებენ, მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები დაუყოვნებლივ აცნობებენ მუშა ხელის აღრიცხვა-განაწილების ადგილობრივ ქვე განყოფილებათ, და მნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად ამა დადგენილების მე 9 მუხ. მიხედვით, ან და თვითონ აძლევენ პასუხისგებაში.—მომცდარ საწარმოო დაწესებულებათა მუშებისათვის ჯამაგირის მისაცემად გაცემულ ასიგნობას მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოები დაამტკიცებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მუშა ხელის აღრიცხვა განაწილების ქვე-განყოფილებათა განკარგულებანი—დახურულ საწარმოო დაწესებულებათა მუშების გამოყენების შესახებ სწორედ იქნება აღსრულებული.

9. შრომის სახალხო კომისარიატი და მისი ადგილობრივი ორგანოები ვალდებულნი არიან პასუხისგებაში მისცენ,—მუშა-ხელის აღრიცხვა განაწილების და მისი ადგილობრივი ორგანოების წარდგენით—ის, ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს ან არ აასრულებს.

10. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ს. ქავთარაძე.**
შრომის სახალხო კომისრის მოადგილე **ა. მიქაძე.**
რევკომის მდივანი **ალ. ხალარიძე.**
1921 წ. სექტემბრის 20
ტფილისი—სასახლე.

ბრძანება № 82.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

1. რათა ავტომობილების მოძრაობა, როგორც სამგზავრო, ისე საბარგოსი ქალაქ გარედ მოწესრიგებულ იქნეს, აკრძალულია ავტომობილების გასვლა თბილისს გარედ საამისოდ დაწესებული ნებართვის მიუღებლად.

2. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ყოველმა დაწესებულებამ, [illegible] და წარმოებამ, რომელსაც ესაჭიროება ქალაქ გარედ ავტომობილით გასვლა ან ტვირთის გატანა, უნდა მიმართოს საქართველოს საგანგებო კომისიას საამისოდ დაწესებული ნებართვის მისაღებად. სხვა რამ ნებართვას და დოკუმენტს არავითარი ძალა არა აქვს ქალაქ გარედ გასვლისათვის.

აქედან გამონაკლის შეადგენს ცალკე კავკასიის არმიის ავტომობილები, რომელთაც ნებართვა უნდა მიეცეს ამ არმიის შტაბიდან—შტაბის უფროსისა და სამხედრო კომისარის ხელის მოწერით.

3. ყველა, ვინც ავტომობილით მიმავალი ან ბარგის გამტანი შეეცდება ნებადაურთველად გასვლას, დაჭერილ უნდა იქნეს და გაიგზავნოს საქართველოს საგანგებო კომისიაში—ამ ბრძანების დარღვევისათვის კანონიერ პასუხისგებაში მისაცემად.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ს. ქავთარაძე**
რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **ალ. ხალარიძე.**
1921 წ. სექტემბრის 22.
თბილისი-სასახლე.

ბრძანება № 53.

თიანეთის მაზრის რევოლიუციონურ კომიტეტისა.

§ 1.

ტრანსპორტის საქმის სასწრაფოდ მოწესრიგების მიზნით, თიანეთის მაზრის რევოლიუციონური კომიტეტის დადგენილებისა თანახმად არსდება მაზრის ტრანსპორტის განყოფილება, შემდეგი შემადგენლობით: ა) განყოფილების გამგე 1, ბ) მისი მოადგილე 1, გ) საქმის მწარმოებელი 1, დ) ცეხაუზის გამგე 1, ე) შეიარაღებული მილიციონერი 3 და ვ) მეჯინიბე (ცხენების მომვლელი) 2, რომელი განყოფილებაც იმყოფება მაზრევკომის და მის ადგილობრივ ორგანოთა განკარგულებაში და პირდაპირ ემორჩილება მაზრევკომს და ამავე დროს იმყოფება მის კონტროლის ქვეშ.

§ 2.

ტრანსპორტის განყოფილების შესანახ ხარჯებს იხდის მაზრევკომი.

§ 3.

ტრანსპორტის გაუმჯობესების მიზნით მჭიდრო და მუდმივი კავშირის დამყარება ტრანსპორტის განყოფილებისა მაზრევკომთან და მილიციასთან.

§ 4.

ტრანსპორტის განყოფილების მოვალეობას შეადგენს: ა) განყოფილების ტექნიკურად მოწყობა, ბ) ტრანსპორტის უსულო და ცოცხალი ინვენტარის რეგისტრაცია, გ) ადგილობრივი ტრანსპორტის ორგანიზაცია, დ) რიგრიგობით გამოყვანილ ცხენების და სამგზავრო სხვა საშუალების წარმოება სათანადო სარეგისტრაციო წიგნებში შეტანით.

§ 5.

ტრანსპორტის განყოფილების გამგეს უფლება ეძლევა გამოიყვანოს ბეგრის ქვეშ საჭიროების მიხედვით ცხენები, ხარები, ურმები და სხვა სამგზავრო საშუალებები რიგრიგობით, იმ მოხელეთა გადასაყვან გადმოსაყვანად, რომლებიც განსაკუთრებული დავალებებით იგზავნებიან მაზრაში, ან მაზრის გარეთ.

შენიშვნა: ა) ბეგრისაგან თავისუფლდება ერთი ცხენის პატრონი, ხოლო აუცილებელ საჭიროების დროს ტრანსპორტს ნება ეძლევა გამოიყვანის ბეგარაზე; ბ) ცხენებისა და სამგზავრო სხვა საშუალების ბეგარაზე გამოყვანის ნება არავის არა აქვს, გარდა ტრანსპორტის განყოფილების გამგისა; გ) როდესაც მაზრის მილიციის უფროსს დასჭირდება ბეგრის ცხენები წასასვლელად ბრბოებთან საბრძოლველად, მან უნდა მიმართოს ტრანსპორტის გამგეს, რომელმაც უნდა გამოიყვანოს საჭირო რიცხვი ცხენებისა, მილიციის დახმარებით.

§ 6.

მაზრის და რაიონის მილიცია განთავისუფლებულ უნდა იქნას ამ ბეგარისაგან, მხოლოდ დაინტერესებულმა საბჭოთა დაწესებულებებმა და თანამდებობის პირებმა სამგზავრო საშუალებების მისაღებათ ყოველ შემთხვევაში, როდესაც ისინი სამსახურის საქმეებზე იგზავნებიან, მიმართონ ტრანსპორტის გამგეს.

შენიშვნა: ცხენების და სხვა სამგზავრო საშუალების და შეკაზმულობა-მორთულობის გაცემისთანავე უნდა ჩაიწეროს დაწვრილებით სათანადო წიგნში ვის, როდის, ვისი ცხენი და შეკაზმულობა და სხვა მიეცა და რომელ ადგილამდე.

§ 7.

ბეგარაზე გამოყვანილი ცხენები და დაბა თიანეთიდან წაყვანილები უნდა აუცილებლად იცვლებოდნენ შემდეგ ადგილებში: ახმეტაში, საყდრიონ-ხევსურეთ-სოფელში, მაღაროსკარში, ჟინვალში და დუშეთში.

§ 8.

ვინაიდან შემჩნეულია, რომ ზოგიერთი პირები დღევანდელი მოძრავი შემადგენლობის კრიზისის დროს ყურადღებას არ აქცევენ ტრანსპორტის ინტერესებს, დროზე არ აბრუნებენ ცხენებს და შეკაზმულობას და თუ აბრუნებენ მთლად გაძვალტყავებულ ცხენებს და გაძარცულ შეკაზმულობას, ან და სულ კარგავენ, რაც დიდ უკმაყოფილებას ბადებს მოქალაქეთა შორის, ამისათვის ის პირები, რომლებიც სარგებლობენ ბეგრის ცხენებით და სხვა, ვალდებულნი არიან სასტიკად დაიცვან [illegible] წესი, თავის დროზე გაუფუჭებლათ და უკლებლათ დაუბრუნონ ცხენი, შეკაზმულობა და სხვა საერთოდ მეტი ყურადღებით და მეტი სიფრთხილით მოეკიდონ ტრანსპორტის საქმეს.

შენიშვნა: ის პირები, რომელნიც მიიღებენ ცხენებს და შეკაზმულობა-მოსართავებს და არ დააბრუნებენ დანიშნულ ადგილზე, იმავე სახით, როგორც ჩაიბარეს და გააწვალებენ ცხენებს და დაკარგავენ რამეს და გაძარცვავენ შეკაზმულობას, იქნებიან პასუხისგებაში მიცემულნი და დაისჯებიან კანონის მთელი სისასტიკით პატრონისათვის მიყენებულ ზარალის ანაზღაურებით ერთი-ორად.

§ 9.

ახმეტის და ერწოს რაიონებში მოაწყოს ბეგრის საკითხი იმავე წესით, როგორც მაზრაში, მხოლოდ მცირე მაშტაბით, ხელმძღვანელი იქნება მაზრის ტრანსპორტის გამგე.

შენიშვნა: განაპირა თემის რევკომის ფილიალებში ბეგარა სწარმოებს თემის რევკომების განკარგულებით.

§ 10.

ამ ბრძანების დარღვევისათვის დამნაშავენი იქნებიან მიცემულნი პასუხისგებაში და დაისჯებიან რევოლიუციონური დროის კანონების მთელი სისასტიკით.

მაზრევკომის თავმჯდომარე: **ხურგულიძე.**
ტრანსპორტის განყოფილების გამგე **სიორიძე.**
მდივანი **ხუციშვილი.**

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.
— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი" ტელ. 1—33.
— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69.
— მე 3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—36.
— მე-4-ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.
— მე-5-თე რაიონის ბიურო—აბანოს ქუჩა.
— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა—რუსთაველის პრ. 22.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

ს. გ. კომისარიატი ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ რესპუბლიკის ყველა ტიპის და ხარისხის სასწავლებლებში, „კოლლოკვიუმები" (განმეორებითი გამოცდები) დაიწყება ა/წ პირველი ოქტომბრიდან, ხოლო სწავლა იმავე ოქტომბრის 10 დან.

პარტიული

ს. კ. პ. თბ. ორგანიზაციის მე-4 რაიკომი აუწყებს მე-4 რაიონის ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომ კვირას, 2 ოქტომბერს გაიმართება კვირაობა. იაჩეიკების ყველა მდივნებს წინადადება ეძლევათ ამის შესახებ ფრთხილად გააცნონ თავის იაჩეიკების წევრები რათა მათ კვირაობაში მიიღონ მონაწილეობა. შესაკრები ადგილი—4 რაიკომი (ოლღას ქ. № 21) დილის 7 საათზე.

სხვა და სხვა

საჭიროა სახელმწიფო დრამის თეატრისათვის ორი მოკარნახე; პირობების გაგება შეიძლება თეატრის კანტორაში. დილის ათი საათიდან ორ საათამდე.

ტირაჟი 10.000 ნ. ჟ. ხ.
საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა კრუზენშტერნის ქ., № 4.